საქართველო - გუირდზისტონ
სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ХУССАР ИРЫСТОНЫ АДМИНИСТРАЦИЙЫ САЕР ГЪЛАЕУАЕГ

ქ. თბილისი "11" იანვარი 2022 წ.

ბრძანება
БАРДЗЫРД № 07/1

რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან იძულებით ადგილნაცვალი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლების დაფინანსების შესახებ

„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის VIII თავის 32-ე მუხლისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **დამტკიცდეს** „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან იძულებით ადგილნაცვალი სტუდენტების სწავლების დაფინანსების წესი“ ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს ადმინისტრაციის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურს (დ.მაჩაბელი) უზრუნველყოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან საბოლოო შეთანხმების საფუძველზე (სამსახურებრივი ბარათი, სათანადო რეზოლუციით) სტუდენტების სწავლების დაფინანსების მიღების მაძიებელ პირებზე შესაბამისი თანხების გაცემა;
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ადმინისტრაციის აპარატის უფროსს (გ.ჯაფარიძე);
4. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: ადმინისტრაციის განათლების სამსახურის უფროსის ს.ცოტნიაშვილის სამსახურებრივი ბარათი N48; 11.01.2022წ.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი

დანართი

„დამტკიცებულია“

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის

ხელმძღვანელის

2022 წლის 11 იანვარს #07/1 ბრძანებით

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან იძულებით ადგილნაცვალი სტუდენტების სწავლების დაფინანსების წესი

რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან იძულებით ადგილნაცვალი სტუდენტების სწავლების დაფინანსების წესი განსაზღვრავს სტუდენტებისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დაფინანსების პირობებსა და პროცედურებს.

1. დაფინანსების ოდენობა

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან იძულებით ადგილნაცვალი სტუდენტების დაფინანსებისათვის სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის 2022 წლის საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოიყოს **24 000** (ოცდაოთხიათასი) ლარი.

2. დაფინანსების მიღების უფლების მქონე პირი

1. ამ წესით დაფინანსება შეიძლება მოიპოვონ რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან იძულებით ადგილნაცვალმა ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებმა, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, არ აქვთ მინიჭებული სრული სახელმწიფო სასწავლო გრანტი (მათ შორის სოციალური პროგრამის ფარგლებში), არ სწავლობენ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და არ მიუღიათ დაფინანსება სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციისგან.

2. ამ წესით დაფინანსების მიღება შეუძლიათ ასევე ბაკალავრიატის საფეხურის იმ სტუდენტებს, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, მიღებული აქვთ დაფინანსება სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციისგან 2021 წელს და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პირველი სასწავლო წლის სასწავლო კურსების 80%-ში მაინც მიღებული აქვთ უმაღლესი შეფასება -A.

3. დაფინანსების პრინციპი

1. დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხა თანაბრად ნაწილდება ამ წესის მე-2 მუხლით განსაზღვრული კატეგორიის სტუდენტებზე, მაგრამ ერთი სტუდენტის მიერ მიღებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს 600 ლარს.

2. სტუდენტის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და ამ წესით გაცემული თანხის ჯამი არ შეიძლება აღემატებოდეს სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალურ ოდენობას (2250 ლარი).

4 . განცხადების წარდგენის ვადა

ამ წესის მე–2 მუხლით გათვალისწინებული სტუდენტები დაფინანსების მისაღებად განცხადებას მე-5 მუხლით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად წარადგენენ 2022 წლის 15 თებერვლის 15 საათამდე.

5. დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა

დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტებმა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) დევნილის მოწმობა;

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სტუდენტობის დამადასტურებელი ცნობა;

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სასწავლო ბარათი (იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ კატეგორიას.)

ვ) პირადი საბანკო ანგარიში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **დიმიტრი სანაკოევი**